ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№2 (35) თებერვალი, 2005 წელი

ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილნიუსი ვეღარ ვეჯაჯგურეთ

ცაგერის რაიონის საკრებულოს ვაფანთოებული სხდომა

11 თებერვალს გაიმართა ცაგერის რაიონის საკრებულოს გაფართოებული სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს, გამგეობის წევრები, წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ქალაქის, თემის საკრებულოების თავმჯდომარეები, სკოლების დირექტორები, კულტურის მუშაკები, სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები და სხვები.

სხდომა გახსნა რაიონის გამგებელმა ბატონმა **თამაზ ქარსელაძემ.** მუშაობის დაწყებამდე, სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ზურაბ ჟვანიას ხსოვნას.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. ცაგერის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2004 წლის შედეგების თაობაზე რაიონის გამგეობის ანგარიში (მომხსენებელი გამგეობის ეკონომიკის განყოფილების გამგე **მამუკა ლეთოდიანი**);

2. ინფორმაცია ყოფილი მეფრინველეობის ფაბრიკის ქონების მდგომარეობისა და მისი შემდგომი განკარგვის შესახებ (გამგებლის პირველი მოადგილე **გურამ ყურაშვილი**);

3. რაიონში სასოფლო-სამეურნეო ხაზით არსებული სატრანსპორტო საშუალებების მდგომარეობის შესახებ შემსწავლელი კომისიის ინფორმაცია (გამგებლის პირველი მოადგილე **გურამ ყურაშვილი**);

4. 2005 წლის რაიონის საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ (სახელმწიფო ქონების მართვის განყოფილების გამგე **მერაბ მეშველიანი**).

□

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მომხსენებელმა ანალიზი გაუკეთა რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2004 წლის შედეგებს, წარმოადგინა გამგეობის მიერ გაწეული მუშაობის საკმაოდ ვრცელი ანალიზი.

მოხსენებიდან:

ეკონომიკის წამყვან სექტორში __მრეწველობაში ასეთი სურათია: წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მთლიან მოცულობაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი ელექტროენერგიის წარმოებას და ღვინის მრეწველობას უჭირავს. ღვინის მრეწველობიდან მივიღეთ 1178,0 ათასი ლარის პროდუქცია, რაც 58 პროცენტით აღემატება წინა წლის დონეს (ფულად გამოსახულებაში 432, 3 ათასი ლარით). ენერგეტიკის სფეროში კი არის 54,5 პროცენტით კლება, რაც ძირითადად გამოწვეულია ლაჯანურჰესში მიმდინარე სარეაბილიტაციაო სამუშაოებით.

პურ-პროდუქტების წარმოებამ წინა წლის დონეს 14,7 პროცენტით გადააჭარბა და 74,8 ათასი ლარი შეადგინა. ხე-ტყის გადამუშავებაში ფიქსირდება მხოლოდ 15,5 ათასი ლარი, რაც რეალურ მდგომარეობას ვერ ასახავს. საჭიროა სახელმწიფო აღრიცხვის მოწესრიგება ამ სფეროში.

რაც შეეხება მშენებლობას, წინა წელთან შედარებით მეტი სამუშაოები შესრულდება, მაგრამ მდგომარეობა კვლავაც არადამაკმაყოფილებელია. ავარიულია არსებული გზები, სტიქიური მოვლენების შედეგად რაიონმა დიდი ზარალი განიცადა.

გასული წელი სოფლის მეურნეობაში სირთულეებით წარიმართა, ცუდ კლიმატურ პირობებს ისიც დაემატა, რომ გაუმართავია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, კვლავაც ვერ ხერხდება გლეხური მეურნეობის უზრუნველყოფა ხარისხიანი შხამ-ქიმიკატებით, სასუქებით. შარშან სასოფლო-სამურნეო პროდუქციის მთლიანმა წარმოებამ 83 58,4 ათასი ლარი შეადგინა. ყველაზე მთავარი სირთულე ის გახლავთ, რომ შესაბამისი ბაზრის არარსებობის გამო არ ხერხდება პროდუქციის სასაქონლო წარმოება. ეს განსაკუთრებით ითქმის ყურძენსა და ხილზე. გაძნელდა მოსახლეობიდან ყურძნის რეალიზაცია__სულ მიღებულ იქნა 320 ტონა, მაშინ როცა 1700-მდე ტონის ჩაბარების რეალური ბაზა არსებობს.

საქონელბრუნვის მოცულობამ წლის მანძილზე 1188,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც 8,9 პროცენტით სჭარბობს წინა წლის მაჩვენებელს.

სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, რეგულარულად იცემოდა პენსიები, საბიუჯეტო დანესებულებებში__ხელფასები. ცენტრალურ ბიუჯეტთან ურთიერთანგარიშსწორებით მიღებულ იქნა თანხები პედაგოგთა სახელფასო დავალიანების დაფარვისათვის.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ქონების მართვას, პრივატიზაციას. რაიონის სინამდვილეში კი პრივატიზაციის პროცესი ნელი, გაჭიანურებული ტემპით მიმდინარეობს.

რაიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის დროს მთავარია ბიუჯეტი და მისი შესრულება. ამ მხრივ მიზანმიმართული მუშაობა წარიმართა გასულ წელს. ადგილობრივი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმა განსაზღვრული იყო 537,2 ათასი ლარით, რომელიც შესრულდა 109,4 პროცენტით და 587,5 ათასი ლარი შეადგინა. ტერიტორიული ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების სახით მობილიზებულია 237,2 ათასი ლარით მეტი თანხები, დამტკიცებულ მოცულობასთან შედარებით 1245ათასი ლარით მეტი.

ადგილობრივი ბიუჯეტის საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულდა 108,0 პროცენტით. წლის დასაწყისიდან ადგილობრივი ბიუჯეტის გეგმა სისტემატურად სრულდებოდა გადაჭარბებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა განსაზღვრული იყო 1042,1 ათასი ლარით, შესრულება გახლავთ__1066,7 ათასი.

რაიონის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის ცაგერის საგადასახადო ინსპექციას, რომლის აქტიური, მიზანმიმართული საქმიანობით რაიონის ბიუჯეტის ყველა პარამეტრი გადაჭარბებით იქნა შესრულებული.

ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებულმა ტრან-

გვ. 2

2001 წელს აკადემიკოს ავთანდილ სილაგაძის ინიციატივითა და მხარდაჭერით ფუნქციონირება დაიწყო სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილიალმა. მას სათავეში ჩუდგა ასევე ღირსეული ლეჩხუმელი, მშობლიურ კუთხეზე და ახალგაზრდებზე უზომოდ შეყვარებული პროფესორი ვალერიან ბენიძე... ლეჩხუმელ ახალგაზრდობას (და არა მარტო ლეჩხუმელებს) მიეცათ საშუალება მოესმინათ საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წამყვანი პროფესორ-მასწავლებლების ლექციები. ამასთან რამდენიმე ადგილობრივი პედაგოგი სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი გახდა.

როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წელს ჩატარდა საქართველოში მოქმედი ყველა უმაღლესი სასწავლებლის აკრედიტაცია. იგი მიმდინარეობდა განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობით და სხვადასხვა კრიტერიუმების შესრულებას მოითხოვდა. ყველა ლეჩხუმელს უნდა ეამაყებოდეს, რომ მთელ რიგ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად აკრედიტაცია წარმატებით გაიარა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ცაგერის ფილიალმა.

ამ დიდ წარმატებას ვულოცავთ სასწავლებლის დამფუძნებელს ბატონ ავთანდილ სილაგაძეს, სასწავლებლის დირექტორს, პროფესორ ვალერიან ბენიძეს, პროფესორ-მასწავლებლებს, მთელ პედაგოგიურ კოლექტივსა და სტუდენტ ახალგაზრდობას.

საქართველოს პარლამენტის ცაგერის
რაიონის მაჟორიტარი
დეპუტატის ბიურო

დაუსტულეიმელი ტოტგანიზაციის ფონზე...

***ბიოგრაფიიდან: მურმან ოიოლაძე** დაიბადა 1954 წელს სოფელ უსახელოში, 1982 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა: კურორტ „ლაშიჭალის“ ექიმად, უსახელოს საექიმო უბნის გამგედ, სასწრაფო დახმარების მორიგე ექიმად. გავლილი აქვს ექიმთა დახელოვნების ციკლი ყელ-ყურ-ცხვირის და დერმატო-ვენეროლოგიაში, საექიმო სერთიფიკატი მიღებული აქვს ჯანდაცვის ორგანიზაციაში, ოტოლარინგოლოგიასა და თერაპიაში. 1989 წელს არჩეულ იქნა რაიონისა და რაისაავადმყოფოს მთავარ ექიმად. 1996-98 წ-ში იყო რაონის ჯანდაცვის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორი. 1998 წლიდან არის შპს „ცაგერის რაიონული საავადმყოფოს“ (მთავარი ექიმი) დირექტორი, ჰყავს მეუღლე—ექიმი მედდა ასათიანი და ორი ვაჟი.*

—ბატონო მურმან, მედიცინა ისეთი სფეროა, სადაც რეორგანიზაცია განუწყვეტელი პროცესით მიმდინარეობს. რა შედის, ამჯერად, თქვენს ფუნქციებში?

—ბოლო წლებში მართლაც ძალზე ხშირია ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაციარესტრუქტურიზაცია. იცვლება იურიდიული-სამართლებრივი ფორმები, შემოტანილი იქნა სადაზღვეო მედიცინის კომპონენტები, ჩატარდა მრავალი ექსპერიმენტი. მედიკოსთა უმრავლესობის აზრით დღემდე გატარებულმა ცვლილებებმა დადებითი შედეგები სამედიცინო მომსახურეობის ხაზით არ მოიტანა. დღევანდელი ჩვენი ფუნქცია არის მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა და სასწრაფო გადაუდებელი დახმარების ორგანიზება.

—რა მდგომარეობაშია საავადმყოფოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა? მასთან დაკავშირებული პრობლემები...

—ძირითადად საავადმყოფოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დამაკმაყოფილებელია და აკმაყოფილებს ჩვენთვის წაყენებულ მოთხოვნებს, თუმცა, ვცდილობთ ბაზის გაუმჯობესებას. გამოკვლევების მოცულობის გაფართოებას, რისი იმედიც უახლოეს მომავალში გვაქვს.

—რა შედის უფასო სამედიცინო მომსახურებაში კონკრეტულად?

—სტაციონარში მოთავსებული ყველა პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურება არის უფასო მედიკამენტები, ლაბორატორიული გამოკვლევა, სამკურნალო დიეტური კვება. დაფინანსება ხორციელდება სხვადასხვა პროგრამებით ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე.

—უფრო კონკრეტულად მედიკამენტებსა და კვებაზე?

გვ. 2

დასტულიმული ტოტგანიზაციის ფონზე...



(დასასრული)

—როგორც მოგახსენეთ, ავადმყოფს, რომელიც მოხვდება სტაციონარში, არ სჭირდება იზრუნოს მედიკამენტებსა (90%-ით) და კვებაზე.

—ყველა საკრებულოში ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტები?

—საექიმო უბანი არის ყველა საკრებულოში 1 ექიმისა და 1 მედდის შტატით, ასევე არის რამდენიმე საფერშლო-საბებიო პუნქტი, თუმცა, კადრების დეფიციტის გამო ვერ ხერხდება უბნების ექიმებით სრულად დაკომპლექტება.

—რომელი ექიმი-სპეციალისტი არ ჰყავს რაიონს?

—რაიონში ამჟამად გვყავს ძირითადი ექიმი-სპეციალისტები საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციით, თუმცა რაიონის მოსახლეობის სრულყოფილი სამედიცინო მომსახურებისათვის აუცილებელია ისეთი სპეციალისტები, როგორიცაა ნარკოლოგი, ფსიქიატრი, დერმატოვენეროლოგი, ონკოლოგი. გეტყვით, რომ, ამჟამად ძალზე გართულებულია ექიმთა გადამზადების საქმე.

—რამდენია საშუალოდ ექიმის სახელფასო ანაზღაურება?

—ექიმის საშუალო ხელფასი საავადმყოფოში ქვეყანში დაწესებული საარსებო მინიმუმის ნახევარია, 5-10 ლარის განსხვავებით.

—წინა წლების „გადმონაშთი“—სახელმწიფო დავალიანებები ისევ დგას დღის წესრიგში?

—ძველი „გადმონაშთი“ გვაქვს გასული წლების 9 თვის სახელფასო დავალიანება, რომლის დაფარვას გვპირდებიან ახლო მომავალში.

—სასწრაფო დახმარების მანქანის მზადყოფნაზე რას გვეტყვით? ფასიანი თუ უფასო მომსახურება?

—ამჟამად, სასწრაფო გადაუდებელი დახმარება ჩვენი შედარებით სუსტი რგოლია, ვინაიდან გვაქვს მხოლოდ ერთი სანიტარული ავტომანქანა (გამართულ მდგომარეობაში), თუმცა პერსონალი სრული მზადყოფნაშია, გვაქვს ყველა საჭირო მედიკამენტი, საწვავი, აქვე მინდა სიამოვნებით გითხრათ, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 1 მაისიდან სასწრაფო დახმარების სამსახური რაიონში იქნება პრაქტიკულად სრულყოფილი ყველა ასპექტით.

—ლაბორატორიული გამოკვლევების უფასო სამედიცინო მომსახურების გამო პაციენტთა სიუხვე შეიმჩნევა. საკმარისია ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა, რომელიც ამ განყოფილებისათვისაა განკუთვნილი?

—როგორც ზემოთ აღვნიშენთ სტაციონარული ავადმყოფებისათვის ყველა გამოკვლევა, როგორც ლაბორატორიული, ისე ფუნქციური იყო და არის უფასო, რაც შეეხება, ამბულატორიულ ავადმყოფების უფასო ლაბორატორიული გამოკვლევები დაიწყო 2004 წლის 1 სექტემბრიდან ადგილობრივი ხელმძღვანელობის უშუალო ჩარევითა და მხარდაჭერით. ამ მიზნით გამოყოფილ სახსრებს, ის ხმარდება რეაქტივების შეძენას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დროდადრო გაახლებას (ლაბორატორია). როგორც აღნიშნეთ, მკვეთრად გაიზარდა დატვირთვა და გადასცდა ყოველგვარ დასაშვებ ნორმებს, ყოველდღიურად ანალიზს იღებს ყველა, სჭირდება თუ არა. პერსონალის ხელფასის გაზრდა უბრალოდ ვერ ხერხდება ობიექტური მიზეზების გამო...

—ჩვენს რაიონში ჰუმანიტარული მისიით ხშირად ჩამოდიოდნენ ექიმთა ბრიგადები, რომლებიც სხვადასხვა ოპერაციებს აკეთებდნენ. უახლოეს მომავალში თუ ელოდებით ამგვარ აქციას?

—როგორც ჩემთვის ცნობილია უახლოეს თვეებში რაიმე ჰუმანიტარული მისიით რაიონში სპეციალისტების ჩამოსვლა გათვალისწინებული არ არის.

—საავადმყოფოს შენობის რემონტი მიმდინარეობს. საიდან ფინანსდება? რომელი სამშენებლო ფირმა აკეთებს და რა დონემდეა სარემონტო სამუშაოები გათვალისწინებული?

—რაიონული საავადმყოფოს სარემონტო სამუშაოებს აფინანსებს ჯანდაცვის სამინისტროს სახელმწიფო დასაქმების ფონდი. აღნიშნულ ფონდში რამდენიმე წელია წარდგენილი მქონდა შესაბამისი პროექტი და როგორც იქნა, 2004 წლის ნოემბერში გადაწყდა ჩვენს სასარგებლოდ, თუმცა ჩვენი წარდგენილი 65 000 ლარის ნაცვლად გამოყოფილ იქნა 47800 ლარი. სამუშაოებს ასრულებს ქუთაისის სარემონტო-საამშენებლო ფირმა „გაგა“ (მოიგო ტენდერი), რომელიც რეგისტრირებულია ცაგერის რაიონში და არის ადგილობრივი ბიუჯეტის გადამხდელი. ამჟამად, რემონტი დამთავრების ფაზაშია. პროექტის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ, რომლებმაც იკისრეს მისი 20% თანადაფინანსება (9000 ლარი).

—თქვენი და ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულება როგორია? თუ გრძნობთ მათგან თანადგომას?

—მიმაჩნია, რომ ჩვენ წმინდა ადამიანური თვალსაზრისით ნორმალური ურთიერთობა გვაქვს, რაც შეეხება თანამდებობრივს, მე ყოველთვის დაწესებულების ინტერესებიდან გამოვდივარ და ამ მხრივაც, ვფიქრობ, დამოკიდებულება აბსოლუტურად მისაღებია, მე ვხედავ, რომ ადგილობრივ ხელმძღვანელობას და რა თქმა უნდა გამგებელს აქვთ კარგი საქმეების კეთების დიდი სურვილი, ვხედავ, რომ აქვთ სამედიცინო საზოგადოების პატივისცემა და სურვილი გაგვიწიონ კონკრეტულად დახმარება. შემიძლია გითხრათ, რომ 2004 წლის აგვისტოდან რაიონული საავადმყოფოს ადგილობრივმა ბიუჯეტმა გამოუყო 19300 ლარი (მსგავსი აქამდე არაფერი მომხდარა) რითაც მოხერხდა სამკურნალო დიეტური კვების მოწესრიგება, რენტგენო-დიაგნოსტიკის მოგვარება და სრულყოფა, ზოგიერთი აუცილებელი კაბინეტის მოწყობა, უფასო ლაბორატორიული გამოკვლევების ორგანიზება, სასწრაფო გადაუდებელი დახმარების გაუმჯობესება. საჭირო მედიკამენტებისა და დამხმარე სამედიცინო საქონლის შეძენა. დაწესებულების აღჭურვა რბილი ინვენტარით და სხვა.

—„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თითქმის ყველა სფეროში მდგომარეობის გაუმჯობესება-გაჯანსაღება შეიმჩნევა. რა სიახლეებს ელოდებით მედიცინის მუშაკები?

—„ვარდების რევოლუცია“ მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ერის უახლეს ისტორიაში და იმედი მაქვს მდგომარეობა ჩვენს სისტემაშიც დადებითად შეიცვლება. ამჟამად ჯანდაცვისა და სოც. უზრუველყოფის სამინისტროში მუშავდება მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი, რაც, იმედია, გარკვეულწილად უკეთესობისაკენ შეცვლის სისტემის მუშაობას, თუმც სამედიცინო საზოგადოება ბოლოს და ბოლოს ხელისუფლებისგან ელის თავგანწირული შრომის, ერისა და ხალხისათვის უანგაროდ გაწეული სამსახურის ღირსეულად დაფასებას.

—თქვენ, საკმაოდ დიდი ხანია საავადმყოფოს მთავარი ექიმი ბრძანდებით. რა მიგაჩნია ექიმის მთავარი ღირსებად?

—მართალი ბრძანდებით. მე მართლაც საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი მომიწია სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელობა, რაც არცთუ ადვილი საქმეა. ახლა, უბრალოდ, არ მინდა ვისაუბრო იმ თვისებებზე და ღირსებებზე, რაც ჭეშმარიტ ექიმ-დასტაქარს უნდა გააჩნდეს. ისე კი, მინდა გითხრათ, რომ წელს 80 წელი შეუსრულდებოდა ყველასათვის საყვარელ ექიმს და პიროვნებას, ბატონ ვილიამ გოლეთიანს. არ მინდა ვიყო ტრაფარეტული, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ჩემი ექიმობა, გარკვეულწილად, განაპირობა ბატონი ვილიამისა და მამაჩემის მეგობრობამ. ჩემი ბავშვობის წლებში ის ხშირად სტუმრობდა ჩვენს ოჯახს... წლების შემდეგ კი მე წილად მხვდა ბედნიერება, როგორც ექიმს, მემუშავა მის გვერდით. ყველაფერი ეს კი მაძლევს უფლებას ხმამაღლა ვთქვა— ექიმი უნდა იყოს ისეთი, როგორიც იყო ექიმი ვილიამ გოლეთიანი.

ეკა ბენდელიანი

ვილნიუს ვეღვეგეჯზე დაუჩღნოჯით

ცაგერის რაიონის საკრებულოს ვაფვანთოეჯული სხდომა

(დასასრული)

სფერმა 1916,7 ათასი ლარი შეადგინა. სოციალური ტრანსფერების დარგების მიხედვით განაწილდა და გაიცა.

2005 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტისადმი ვადაგადაცილებული დავალიანების საერთო მოცულობა 8939,9 ათასი ლარია, რაშიც მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი ლაჯანურჰესზე მოდის.

ცალკე უნდა შევეხოთ სოციალურ სფეროს, ამ სფეროში არსებულ მწვავე პრობლემებს. ცნობილია, რომ უმუშევრობა ჩვენთანაც საზოგადოების ძირითადი საწუხარია. ასეთ პირობებში მოსახლეობის შემოსავლის დონე დაბალია და შესაბამისად დაბალია ცხოვრების დონეც. გამგეობისა და საკრებულოს მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავ რჩება წამყვანი ობიექტების რეაბილიტაცია, რაც შეიძლება მეტი ადამიანის დასაქმება.

გამგეობის მიერ მიზანმიმართული მუშაობის შედეგად გასულ წელს პირველად გახდა შესაძლებელი, რომ ბიუჯეტში შემოსულიყო ჭარბი თანხები „გაგვეხორციელებინა არა ერთი ღონისძიება და გაგვეზარდა ბიუჯეტის სოციალური პაკეტი. გამოიყო 20 ათასი ლარი, რითაც დავეხმარეთ ახალშობილთა, სოციალურად დაუცველ, ავადმყოფ ოჯახებს. სულ 285-მა ოჯახმა მიიღო დახმარება.

რაიონის გამგეობის წინადადებით დახმარება გაეწია ყველა სკოლასა და სკოლამდელ დაწესებულებას (7500 ლარი). გამგეობამ უზრუნველყო აგრეთვე საახალწლო ღონისძიებების დაფინანსება, საჩუქრების გამოყოფა, წმიდა ილია მართლის სახელობის ცაგერის გიმნაზიისთვის, იძულებით გადაადგილებულთათვის დახმარების გაწევა.

რეგიონული სოცფონდის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით რაიონული ბიუჯეტიდან 20 000 ლარი რაისაავადმყოფოს ანგარიშზე ჩაირიცხა უფასო ლაბორატორიული გამოკვლევების, სამკურნალო მომსახურებისა და დიეტური კვების უზრუნველყოფისათვის, 1000 ლარი პოლიციელთა ფორმის ტანსაცმლის შესაძენად გაიცა.

რაიონის გამგეობამ გარკვეული ყურადღება დაუთმო ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას. ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართებით. დაიწყო გამგეობის ეზოს კეთილმოწყობა, დაგეგმილია ქალაქში ახალი კინო-დარბაზის გახსნა და ა.შ. ყოველივე ეს კეთდება რაიონის ბიუჯეტით.

როგორც ცნობილია, რაიონი სტიქიისაგან მეტად საშიშ და რისკის ზონაში იმყოფება. ახასიათებს მეწყრიანობა და დამანგრეველი წყალდიდობა. სტიქიური მოვლენების აღსაკვეთად ძალისხმევას არ იშურებს რაიონის ხელმძღვანელობა, მთავრობის წინაშე დასმულია არაერთი საკითხი. საანგარიშო პერიოდში აღსდგა ცაგერი-ლასურიაშის საავტომობილო გზა, შეკეთდა ლაჯანა-ლაცორიის ხიდის მისადგომები, ბარდნალა-წიფერჩის მონაკვეთზე დაიწყო გაბიონების მშენებლობა. სულ რაიონს სტიქიის საწინააღმდეგო ღონისძიებებისთვის გამოეყო 50 ათასი ლარი. მაგრამ ვერ მივაღწიეთ კაპიტალური სამუშაოები გვეწარმოებინა ცაგერი-ლასურიაშის გზაზე. ეს სამუშაოები გათვალისწინებულია 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში.

ცალკე უნდა ითქვას გამგეობის მიერ გატარებული ზომების შესახებ ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და რეალიზაციის საქმეში. განსაკუთრებით გამკაცრდა ამ მიმართებით კონტროლი, რის საფუძველზეც ბიუჯეტში დაგეგმილი 82 ათასის ნაცვლად შემოვიდა 132 ათასი ლარი გადასახადის სახით.

□

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების გადახდის აუცილებლობას, ხარჯვის კულტურას, ამოღებული თანხის დაბალ მაჩვენებელს, ილაპარაკა ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევის გზებზე; აღნიშნა საქართველოს ელექტროკავშირის ცაგერის რაიონული რგოლის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა საკითხი სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევის ორგანიზების საქმეში საკრებულოების ინერტული პოზიციის აღმოფხვრის შესახებ; ისაუბრა კულტურის ქსელში მიღწეულისა და ნაკლოვანებების, სოფლად დაუტვირთავი კლუბებისა და ბიბლიოთეკების შესახებ, ამ სფეროში დასაქმებულთა საშტატო რიცხვის შემცირების შეუქცევადობაზე.

ხაზი გაუსვა კანონს განათლების შესახებ და ამ ფონზე სფეროში მუშაობის ახლებურად წარმართვას, აღინიშნა სპორტის აღმავლობისათვის სპორტკომიტეტისა და მისი თავმჯდომარის ზრუნვა და მიზანდასახული საქმიანობა, რაიონის გასული წლის სპორტული მიღწევები. შარშან რაიონის გამგეობამ გამოყო თანხა რაიონისა და ლაჯანის სპორტდარბაზების კეთილმოწყობისათვის.

გამგეობამ, აღნიშნა დასასრულს მომხსენებელმა მიღწეულზე დაყრდნობით გარკვეული მუშაობა გასწია 2005 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო სახით დამუშავებისათვის, გამოთქვა რწმენა, რომ რაიონული გამგეობა საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის კურსის შესაბამისად კვლავაც ყველაფერს გააკეთებს რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში ახალი მაჩვენებლების მისაღწევად, მშრომელთა კეთილდღეობის ასამაღლებლად.

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს ინფორმაციები ყოფილი მეფრინველეობის ფაბრიკის ქონების მდგომარეობისა და მისი შემდგომი განკარგვის შესახებ; ინფორმაცია რაიონში სასოფლო-სამეურნეო ხაზით არსებული სატრანსპორტო საშუალებების მდგომარეობის შესახებ. წარმოდგენილ იქნა 2005 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა.

განხილული საკითხების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ ალპანის საკრებულოს თავმჯდომარე **თენგიზ ბურჯალიანი,** რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმი **მურმან თოთაძე,** ღვირიშის საშუალო სკოლის დირექტორი **ტრისტან გუგავა,** ქვედა ცაგერის საკრებულოს თავმჯდომარე **კარლო კოპალიანი,** ნასპერის სკოლის დირექტორი **ლეილა ფუტკარაძე,** საგადასახადო ინსპექციის მთავარი ინსპექტორი **კარლო კვირიკაშვილი,** სპორტკომიტეტის გამგე **გოგი კვირიკაშვილი,** სამხედრო განყოფილების გამგე **გოჩა მურცხვალაძე,** კრიმინალური პოლიციის უფროსი **სოსო ლეთოდიანი.**

მათ შეფასება მისცეს გამგეობის მიერ გაწეულ საქმიანობას, აღნიშნეს თავიანთ სფეროებში მუშაობის ავ-კარგზე, გამოკვეთეს წლევანდელი წლის პრიორიტეტული მიმართულებები.

გაფართოებულ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა რაიონის გამგებელმა ბატონმა **თამაზ ქარსელაძემ.**

მირქმა

ერთ დღესაც სულიწმიდამ აუწყა: „აღდეგ, მოხუცებულო! რა ჰზი? მირბიოდე ტაძრად, რამეთუ მოვიდა განმტევებელი შენი!“ ტაძარში მისულმა სვიმეონმა მრავალ დედას შორის გამოარჩია ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, ხელში აიყვანა ყრმა იესო და შეჰღაღადა: „აწ განუტევე, მონაჲ შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით“ შემდეგ აკურთხა მართალი იოსები და ღვთისმშობელს წინასწარმეტყველურად მიმართა: „ესე დგას დაცემად და აღდგინებად მრავალთა ისრაილსა შორის“.

ჩვენთვის ცნობილია, რომ საღვთო სჯულის მიხედვით, შობიდან 40 დღის შემდეგ ახლადდაბადებული ყრმა ტაძარში მიჰყავთ უფლის წინაშე წარსადგენად. მას წაეკითხება განწმენდის ლოცვები და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია ტაძარში შესვლა.

მირქმა უფლისა ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი დღესასწაულია. ღირსი სვიმეონ მიმრქმელი იერუსალიმში ცხოვრობდა. ისტორიკოსები გვაუწყებენ, რომ ეგვიპტის მეფემ პტოლემეოს II ფილადელფოსმა (285-247 ქრისტესშობამდე) ისურვა, მთელს მსოფლიოში ცნობილი ალექსანდრიის ბიბლიოთეკა წმიდა წერილის წიგნებით შეევსო. ამ მიზნით, მან მწიგნობრები მოიწვია იერუსალიმიდან. წმიდა წერილის ბერძნულ ენაზე სათარგმნელად ალექსანდრიაში ჩასულ 72-სწავლულს შორის იყო მართალი სვიმეონიც. მას ისაია წინასწარმეტყველის წიგნის თარგმნა დაევალა. როცა მივიდა ადგილამდე: „აჰა, ქალწულმან მუცლად-იღოს და შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი ემმანუილ“, მან ჩათვალა, რომ დედანში შეცდომა იყო გაპარული და აპირებდა, „ქალწულის“ ნაცვლად „დედაკაცი“ ჩაეწერა, მაგრამ ამ დროს ანგელოზი გამოეცხადა, ხელი დაუჭირა და უთხრა: „ირწმუნე ამ სიტყვების და თავად დარწმუნდეთ მაგ ჭეშმარიტებაში. არ მოკვდები მანამ, სანამ არ იხილავ ყოვლაწმიდა ქალწულისაგან შობილ ქრისტე მაცხოვარს“. ამ დღიდან მოყოლებული სვიმეონ მესიის მოლოდინით ცხოვრობდა.

სწორედ ამ დღეს—მირქმას მოხდა შეხვედრა ძველი და ახალი აღთქმისა. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველი—სვიმეონი ეგებება ახალი აღთქმის დამფუძნებელს—ისეო ქრისტეს.

წმიდა და მართალმა სვიმეონ ღვთისმიმრქმელმა 360 წელი იცხოვრა. VI საუკუნეში მისი უხრნელი ნაწილები კონსტანტინეპოლში გადაასვენეს. მირქმა VI საუკუნემდე გამორჩეული ზეიმით არ აღინიშნებოდა. 528 წელს, იმპერატორ იუსტინიანეს დროს, ანტიოქიას თავს დაატყდა საშინელი მიწისძვრა, რომელსაც მრავალი ადამიანი ემსხვერპლა. ერთ უბედურებას სხვა დაერთო—შავი ჭირის ეპიდემია: ყოველდღე რამდენიმე ათასი კაცი იხოცებოდა. ამ განსაცდელის ჟამს ერთ კეთილმსახურ ქრისტიანს ზეგარდმო ეუწყა, რომ მირქმის დღე სასწაული უფრო საზეიმოდ აღენიშნათ და, როცა ამ დღეს ღამისთევის ლოცვები და ლიტანიობა აღასრულეს, ბიზანტიაში უბედურებათა წყება შეწყდა. ღვთისადმი მადლიერების ნიშნად, 544 წელს, ეკლესიამ განაჩინა, მირქმა (მიგება) უფლისა აღენიშნათ უფრო საზეიმოდ.

მოამზადა
ეკატერინე ბენდელიანმა

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

საქართველოს სამხედრო ძალებში 2005 წელს მოქალაქეთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში განვევის შესახებ

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს სამხედრო ძალებში 2005 წელს მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად მოწყობის მიზნით:

1. საქართველოს სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა განისაზღვროს 4500 კაცით, მათ შორის:

ა) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში—4300 კაცით;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ გასამხედროებულ ქვედანაყოფებში—200 კაცით.

2. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 22—ე მუხლის საფუძველზე მოქალაქეთა გაწვევა გაიმართოს 2005 წლის პირველი თებერვლიდან 2005 წლის 31 მისამდე.

3. საქართველოს სამხედრო ძალებში გაწვეულ იქნენ 18—დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც არა აქვთ სამხედრო ძალებში გაწვევისაგან გათავისუფლების ან მისი გადავადების უფლება.

4. ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნას გამწვევი კომისიები შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელის თავმჯდომარეობით. კომისიები მუშაობას შეუდგნენ 2005 წლის 19 იანვრიდან.

5. დამტკიცდეს საქართველოს ცენტრალური გამწვევი კომისიის თანდართული შემადგენლობა (დანართი №1). საქართველოს ქალაქებისა და რაიონების გამწვევი კომისიების მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი განახორციელოს ცენტრალურმა გამწვევმა კომისიამ.

6. საქართველოში მცხოვრები 18—დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ ბრძანებულების გამოქვეყნების დღიდან ვალდებული არიან გამოცხადნენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სამხედრო განყოფილებებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

7. სამხედრო ძალებისათვის ახალწვეულების ორგანიზებულად გადაცემისათვის ქ. თბილისში, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის საორგანიზაციო—სამობილიზაციო სამმართველოს შენობის ბაზაზე (ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე—3 კვარტალი, მე2ª კორპუსი) შეიქმანს წვევამდელთა შემკრებ—გამანაწილებელი პუნქტი.

8. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა (ვ. კაპანაძე) საორგანიზაციო—სამობილიზაციო სამმართველოს შენობის პირველ სართულზე გამოყოს სათანადო სამუშაო ფართობი შემკრებ—გამანაწილებელი პუნქტის განთავსებისათვის.

9. ცენტრალური გამწვევი კომისიის თავმჯდომარემ თავისს განკარგულებით განსაზღვროს შემკრებ—გამანაწილებელი პუნქტების პირადი შემადგენლობის დროებითი შტატი და მუშაობის წესი.

10. შემკრებ—გამანაწილებელ პუნქტებზე წვევამდელთა სამედიცინო შემოწმება განახორციელოს ცენტრალურ გამწვევ კომისიასთან არსებულმა მუდმივმოქმედმა სამხედრო სამედიცინო—საექსპერტო კომისიამ (დანართი№2).

11. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (ვ. ჭიპაშვილი);

ა) განსაზღვროს ქალაქებისა და რაიონების გამწვევ კომისიებს ის სამედიცინო დაწესებულებები, სადაც გაიგზავნებიან წვევამდელები დამატებითი სამედიცინო გამოკვლევებისათვის.

ბ) კოორდინაცია გაუწიოს მუდმივმოქმედი სამხედრო სამედიცინო—საექსპერტო კომისიის მიერ შესრულებული სამუშაოებისა და მოქალაქეთა დამატებითი სტაციონარულ—ამბულატორიული სამედიცინო გამოკვლევების ხარჯების ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, სავალდებულოს სამხედრო სამსახურში გაწვევის უწყების მიღებიდან 10 დღეში.

13. ეთხოვოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (ი. მერაბიშვილი) ადგილებზე აღმოუჩინოს დახმარება რაიონების (ქალაქების) გამგეობების სამხედრო განყოფილებებს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

14. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა გ. ბეჟუაშვილმა და საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა პერიოდულად მომახსენონ მოქალაქეთა გაწვევის მიმდინარეობის შესახებ.

15. ეთხოვოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ფართოდ გააშუქონ გაწვევის მიმდინარეობა და მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

16. ამ ბრძანებულების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში—ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა გელა ბეჟუაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილი
ქ. თბილისი 2005 წ. 16 იანვარი

„ყველამ მოვიხალოთ მხეირული ვალი“...

სპა

საგაგაფხულო სამხედრო სავალდებულო გაწვევა ძალაში შევიდა. რა ხდება ჩვენთან? გაწვეულ იქნენ თუ არა ჩვენი რაიონიდან ახალგაზრდები? რა ცვლილებები მიმდინარეობს საერთოდ სფეროში? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩვენ შევხვედით და განმარტება ვთხოვეთ საგერის რაიონის სამხედრო განყოფილების უფროსს გოჩა მურცხვალაძეს:

„2003 წლის 1 თებერვლიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა გაღაეცა აღგილობრივი მმართველობის ორგანოებს და ცალკე ჩამოყალიბდა გამგეობის სამხედრო განყოფილება, რომლის ძირითადი ვალდებულება გახლავთ მოახდინოს მოქალაქეთა პირველადი სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა და მათი შემდგომი გაწვევა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში.

გასულ წლებთან შედარებით სამხედრო სამსახურში გაწვევა ჩვენი რაიონისთვის ისევ პრობლემატურ საკითხად რჩება. მართალია რეგისტრირებული არიან ჯარში წამსელელები, მაგრამ ცოტა რაოდენობით და თან იშვიათია შემთხვევა, როცა წვევამდელი თავის ნებით ცხადდება რაიონის სამხედრო განყოფილებაში.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენს განყოფილებას შექმნის დღიდან გაწვევის გეგმა-დავალება არ ჩაუგდია, ყოველთვის ვასრულებთ 100%-ით. 2003 წელს საგაზაფხულო და საშემოდგომო პერიოდში გაწვეულ იქნა 43 ახალგაზრდა. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებისათვის კანონით დადგენილი მოსაკრებელი (რომელიც შეადგენს 200 ლარს) 9 წვევამდელმა გადაიხადა. 2004 წელს კი 29 წვევამდელი გავგზავნეთ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

მიმდინარე წლის საგაზაფხულო გაწვევის გეგმა-ვალდებულება ითვალისწინებს 15 წვევამდელის გაწვევას, ჯერჯერობით მხოლოდ ოთხი იქნა მივლინებული. კვლავ ძალაში რჩება ფულადი გადასახადი, რითაც წვევამდელი ერთი წლით თავისუფლება, მაგრამ ამ ეტაპზე განაცხადი თანხის გადახდის თაობაზე, არავის შემოუტანია.

რა თქმა უნდა, გვაქვს უამრავი პრობლემა, პირველ რიგში საგრანსპორტო საშუალების უქონლობა. ბევრი სოფელი რაიონის ცენტრს, დაშორებულია, არ მოძრაობს შიდა ტრანსპორტი, ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ აღგილებზე გასვლას და აგიტაციას ვერ ვეწევით წვევამდელებთან და მათ მშობლებთან, ძირითადად ვმოძრაობთ დაქირავებული მანქანით.

უფრო მეტი დახმარება უნდა იყოს ქალაქისა და რაიონის საკრებულოებიდან. საქართველოს კანონის გათვალისწინებით, სახელმწიფო ხელისუფლებისა და აღგილობრივი მმართველობის ორგანოს პირები ვალდებულნი არიან შეაგყობინონ მოქალაქეს სამხედრო განყოფილებაში გამოძახების შესახებ და კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში მიიღონ ზომები მოქალაქის დროულად გამოცხადებისთვის. რაც მათი მხრიდან არ სრულდება. პრობლემა გვექმება სტუდენტებთან, რომლებიც ძირითადად გასულნი არიან რაიონის ფარგლებს გარეთ მათი მისამართები ჩვენთვის უცნობია, მშობლები კი შეგნებულად თავს არიდებენ შეაგყობინონ მათ, რათა გამოცხადნენ ჩვენთან, გამწვევ კომისიაში გასაგარებლად. წვევამდელი, რომელიც შეგნებულად თავს არიდებს სამხედრო ვალდებულების მოხდას, დაჯარიმდება საქართველოს რესპუბლიკის სამართალდარღვევათა კოდექსის 197-ე მუხლით, იგი ითვალისწინებს თანხის გადახდას 1000 ლარის ოდენობით. გადაუხდელობის შემთხვევაში შეეფარდება ადმინისტრაციული პაგიმრობა 30 დღის ვადით.

რაიონის ახალგაზრდობას ვურჩევდი, ნუ აარიდებენ თავს სავალდებულო სამსახურს და ღირსეულად მოიხადონ თავიანთი მხედრული და პატრიოტული ვალი ქვეყნის წინაშე.

ღღესდღეობით სამხედრო ნაწილებში მდგომარეობა გამოსწორებულია. ამას ამუქებს პრესა და ტელევიზია. ამაღლებულია დისციპლინა, გაუმჯობესებულია ყოფისა და ცხოვრების პირობები. დიდი ყურადღება ეთმობა ჯარისკაცის კვებას. ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ჯარში სამსახური იყოს პრესტიჟული. ქმნის ყველა პირობას, ახალგაზრდა მთელი შემართებითა და უდიდესი სიამაყით მიდიოდეს სავალდებულო სამსახურში, თავისი პატრიოტული ვალის მოსახდელად. ჩვენი, ქართული გენიდან გამომდინარე ქართველი კაცი ყოველთვის იყო და არის ვაჟკაცობისა და რაინდობის სიმბოლო. ვაჟკაცურად უმკლავდებოდა მომხდარ მტერს და საკადრის მიუზღავდა. აქედან გამომდინარე ქართველი ჯარისკაცი უნდა იყოს კარგად გაწვრთნილი, ფიზიკურად ძლიერი მომზადებული და მუდამ მხედრულ ფორმაში მყოფი.“

რაიონის გამგეობამ იმ ოთხ ახალგაზრდას, რომლებიც გაწვეულ იქნენ სავალდებულო სამსახურში მცირეოდენი საჩუქრები გადასცა.

ეკა ყვირილიანი

ჩვენი საინტერესო წინაპრები

ბოპანი

პანტელეიმონ რომანოზის ძე **ბოჭორიშვილი,** ბოპანი, დაიბადა 1880 წელს, სოფელ საირმეში. მამამისი ჩამოსახლებული იყო ქვემო რაჭიდან, სოფელ ჯვარისადან. პანტელეიმონი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, როგორც მარტოსული, ნიადაგ ცხოვრობდა საირმეში, სადაც მიიცვალა 1950 წელს. იგი, როგორც სახალხო მასწავლებელი, დაუღალავად მოღვაწეობდა საირმესა და ალპანაში ნახევარი საუკუნის მანძილზე. წერდა და აქვეყნებდა ლექსებს „ბოპანის“ ფსევდონიმით, რაც მიღებულია მისი გვარისა და სახელის შემოკლებით. 1922 წელს ბოპანმა ქუთაისში გამოსცა წიგნი „არგვეთის გმირები დავითი და კონსტანტინე“. იმავე წელს წიგნად გამოვიდა მისი სახალხო ლექსები. ბოპანს ეკუთვნის გალექსილი პოემა „შოთას აღზრდა“, რომელიც გამოქვეყნდა 1936 წელს.

ბოპანი საშუალო ტანისა ყოფილა. ლურჯ, თვალებს ალერსით შეანათებდა თურმე მოსაუბრეს. ლამაზად წვერგაპარსულსა და ულვაშებშეკრეჭილს ღიმილი შვენოდა. მეტწილად იცვამდა ერთნაირი ფერის ხალათსა და შარვალს. ყაბალახი და პლაში მხარზე ეკიდა. არ იცილებდა სათვალეებსა და ჯოხს.

ბოპანი მოწოდებით მასწავლებელი იყო და თანდაყოლილი კეთილშობილებით გამოირჩეოდა. სანიმუშოდ ფლობდა მშობლიურ ქართულ ენასა და ასწავლიდა კიდეც სხვა ჰუმანიტარულ საგნებთან ერთად. სოფლის მოსახლეობა სათანადოდ აფასებდა, როგორც მათი ჭირ-ვარამის მოზიარეს. იყო ბევრი სასარგებლო საქმის ინიციატორი, ვარლამ მახარობლიძესთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვის ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსებაში. მისი ძალისხმევით გაიხსნა ალპანის საავადმყოფო და სამკითხველო, ალპანის სრული და საირმის არასრული საშუალო სკოლები. სპეციალისტების მოწონებას იმსახურებდა მისი შენიშვნები სასკოლო სახელმძღვანელოებისა და პროგრამების შესახებ.

ცოდნას თვითგანათლებით იძენდა. იცნობდა მსოფლიო მწერლობის კორიფეებს, თავისი არაჩვეულებრივი მეხსიერების წყალობით ზეპირად ახსოვდა ქართველი კლასიკოსების ბრძნული გამონათქვამები. უბის წიგნაკს განუყრელად ატარებდა, გაგონილს ან საკუთარ ნააზრევს უმალ ჩაინიშნავდა ხოლმე. წერდა იშვიათი კალიგრაფიული ხელით. თავი მხნედ, ამაყად ეჭირა. ხალხში ტრიალებდა. ახლოს იცნობდა მრავალ სახელოვან მამულიშვილს. კურორტ შოვის აღმომჩენი და დამაარსებელი შამშე ლეჟავა ბოპანმა დააინტერესა ძულურის მინერალური წლით. ლადო ასათიანს უყვარდა ბოპანი, როგორც ნიჭიერი და კოლორიტული პიროვნება. 1934-1938 წლებში ლადო არაერთხელ შეხვედრია ბოპანს და დამტკბარა მისი ტკბილი ქართულით. ლადოს მოსწონდა ბოპანის ცნობილი გამოთქმა „უვითართა მავითარი“, რაც უსწავლელთა მასწავლებელს ნიშნავს. საშრობს აყვინთადაყვინთას ეძახდა, ბეჭედს და შტამპს დასტურსა და დასტურმანს.

ისტორიისა და მწერლის სიყვარული სევერიან ისიანს ბოპანმა ჩაუნერგა ალპანის დაწყებით სკოლაში. 1933 წლის ზაფხულში მიხეილ ალავიძემ საირმეში მიიღო სევერიან ისიანის წერილი, რომელშიც პოეტი წერდა: „სალამი ორპირს__პატარა დარიალს, სალამი საირმის უდაბნოს გულზე აშვერილ კლდეებს, მოკითხვა ნაცნობებსა და მეგობრებს, განსაკუთრებული სალამი და პატივისცემა ჩემს პირველ კარგ მასწავლებელს პანტელეიმონს“.

1925-1927 წლებში საირმის დაწყებით სკოლაში ბოპანი ასწავლიდა მიხეილ ალავიძეს. მას ხშირად სტუმრობდნენ ცნობილი ფოლკლორისტები მიხეილ ჩიქოვანი და გიორგი სამხარაძე, ბოპანი, როგორც კულტურისა და ბუნების ძეგლთა მკვლევარი, მონაწილეობდა სამეცნიერო ექსპედიციებში. 1930 წელს ბოპანი ახლდა აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილს, რომელიც ხელმძღვანელობდა მურის არქეოლოგიურ გათხრებს და შეისწავლა ლეჩხუმის სიძველეები, მათ შორის ლაბეჭინის ეკლესია და საირმის მონასტერი. ბოპანი ახლოს იცნობდა ცნობილ ქართველ ეთნოგრაფს გიორგი ჩიტაიას, რომელსაც მრავალი საინტერესო მასალა მიაწოდა 1938 წელს. მის მიერ მოპოვებული ლექსიკური და ფოლკლორული მასალების ნაწილი გამოქვეყნებულია მიხეილ ალავიძის „ლეჩხუმურ ლექსიკონსა“ და ლეჩხუმურ ზეპირსიტყვიერებაში“. 1912 წელს ბოპანი იყო აკაკი წერეთელთან ალპანაში მოწყობილი შეხვედრების ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი. სევერაინ ისიანს მან ჩააგონა ლექსი „აკაკი ლაჯანურის პირას“. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

წერილი საირმის არასრული საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებისა და დირექტორის ბატონ ვლადიმერ ცხვედიანის მიერ მონოლოგული მასალის მიხედვით მოამზადა ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ლირეტულება ომარ ჭაბუკიანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი: ‚მდგომარეობა არცთუ ისე იდეალურია, მაგრამ არც ისე ცუდი‘

ბოგი ჯვიჩიაშვილი დაიბადა 1961 წელს. წარჩინებით დაამთავრა ჩხუტელის საშუალო სკოლა, 1980 და 1985 წელს დაამთავრა ქ. ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ჯვების მშენებლობის მანქანებისა და აპარატების სპეციალობით, პარალელურად დაამთავრა სახოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი ეკონომისტის განხრით.

1987 წლის აგვისტოდან კომკავშირელ სამუშაოზეა. მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. იყო კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი. საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციის შემდეგ მუშაობდა კერ რაიონის პროფესიონალის, შემდეგ გამგეობის წამყვან სპეციალისტად.

1996 წლის იანვრიდან დაინიშნა რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ. ჰყავს ორი შვილი.



რამ განაპირობა თქვენი, როგორც არასპეციალისტის მოღვაწეობა სპორტში?

შემთხვევით არაფერი არ ხდება. სპორტი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი შთამბეჭდავი გატაცების სფეროა.

სკოლაში, ინსტიტუტში, ჯარში, როგორც აქტიურ სპორტსმენს და სპორტის ორგანიზატორს, გარკვეული პრივილეგიები მქონდა.

ჩემი საყვარელი სპორტის სახეობებია ფრენბურთი, ფეხბურთი, ჭიდაობა, კრივი და სხვა.

ბავშვობიდან ვარ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის აქტიური გულშემატკივარი და გაზეთ „ლელოს“ სტატიანი მკითხველი.

ახალგაზრდობის სამსახურში მოღვაწეობის დროს სისხლხორცეულად ვიყავი დაკავშირებული რაიონის სპორტულ ცხოვრებასთან. მაქვს არაერთი საინტერესო მასალა სპორტზე გაშუქებული რაიონულ და ქვეყნის სპორტულ გაზეთებში.

მორალური უფლებიდან გამომდინარე მეამაყება კიდეც, რომ წლების განმავლობაში რაიონის სპორტის სამსახურს ვხელმძღვანელობ.

მომავალში ვეცდები მეტი გავაკეთო.

რა დაგხვდათ მემკვიდრეობისაგან, ანუ, რა იყო თქვენამდე?

სპორტს ლეჩხუმში სახელოვანი ტრადიციები აქვს, ჩემი წინამორბედი დათო მუშკუდიანი 12 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა რაიონულ სპორტკომიტეტს. ამ პერიოდში ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა, რისი მომსწრე და აქტიური მონაწილე, როგორც კომკავშირის რაიკომის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მეც გახლდით.

საქართველოში სამოქალაქო ომმა და არეულობამ გარკვეული დაღი დაამჩნია რაიონის სპორტულ ცხოვრებას. სხვადასხვა სუბიექტური მიზეზების გამო ფაქტიურად შეფერხდა სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, სერიოზული პრობლემები შეიქმნა სპორტულ ბაზებსა და ობიექტებზე.

როცა სპორტკომიტეტში ჩემს გადასვლაზე საკითხი დადგა__ადგილი ვაკანტური იყო რამდენიმე თვის განმავლობაში, ბატონ დათოს, რომელიც სხვა სამსახურში იყო გადასული, გახარებია, ის შემხვდა და შემაგულიანა, მას სჯეროდა ჩემი და გულწრფელად გადმომცა ესტაფეტა, მისმა დადებითმა რეკომენდაციებმა ადგილობრივ ხელმძღვანელობასა და სპორტის ხელმძღვანელ სტრუქტურებში გარკვეული სტიმული მომცა.

მას შემდეგ, რაც თქვენ მოხვედით, რა ცვლილებები მოხდა რაიონის სპორტულ ცხოვრებაში?

ვიქნები თავშეკავებული და ვიტყვი. აქ მხოლოდ ჩემს მოსვლას ბევრი არაფერი შეეძლო. საერთო სიტუაცია შეიცვალა. რაიონის ხელმძღვანელობის დახმარებით შემუშავდა ლეჩხუმში სპორტის განვითარების გრძელვადიანი პროგრამა. ქმედითუნარიანი გახდა ძირითადი სპორტული ბაზები. აღდგა რაიონული შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მეტი ყურადღება დაეთმო ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის საქმიანობას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლეჩხუმის ტრადიციული სპორტის სახეობების შენარჩუნებას და მის შემდგომ განვითარებას,

კვლავაც დომინირებს რაიონის ფრენბურთის სკოლა (მწვრთნელები: საქ. დამსახურებული მწვრთნელი თენგიზ საღინაძე, ლაშა ლიპარტელიანი, ნური ხეცურიანი და სხვა). ვატარებთ ცნობილი ფრენბურთელის თამაზ გოლეთიანის სახელობის ტურნირს და გვართა რაიონულ პირველობას.

რაიონის ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრების გუნდი წარმატებით გამოდის ქვეყნის პირველობებში.

რაიონში აღზრდილი ფრენბურთელები წარმოადგენენ უკანასკნელ წლებში ქვეყნის ნაკრების ბირთვს, გვყავს ქვეყნის ჩემპიონი.

უნდა აღინიშნოს მაჟორიტარი დეპუტატის ავთანდილ სილაგაძის დამსახურების შესახებ ლეჩხუმში ფრენბურთის განვითარების საქმეში.

სასიხარულოა, რომ ქვეყნის ფრენბურთის ფედერაციას ხელმძღვანელობს ჩვენი რაიონის მკვიდრი ლევან ახვლედიანი, რომელიც აქტიურად გვიჭერს მხარს.

__რაიონში ჩამოყალიბდა ბავშვთა საფეხბურთო გუნდი „ხვამლი“ (მწვრთნელი: პორფილე კოპალიანი), რომელიც მონაწილეობას იღებს ჭაბუკთა ზონალურ პირველობაში და სერიოზული წარმატებები გააჩნია.

ჭაბუკთა ფეხბურთის მატჩებმა გამოაცოცხლა ცაგერი.

რამდენიმე პერსპექტიული მოთამაშე ჩაირიცხა ქვეყნის მოწინავე ჭაბუკთა გუნდებში.

გასულ წელს ჩატარდა რაიონის გამგეობის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში ორ ეტაპად, სადაც მონაწილეობა მიიღო 60-მდე გუნდმა.

__წარმატებებია ქართულ ჭიდაობაში (მწვრთნელები: ჯოკია შკუბულიანი, კობა ქომეთიანი და ირაკლი ხაბულიანი). გვყავს ქვეყნის ჩემპიონი და პრიზიორები. რეგიონალური შეჯიბრებების გამარჯვებულები.

__განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სოფ. ლაჯანაში, თავისუფალი ჭიდაობის ძლიერი ჯგუფის ჩამოყალიბება (მწვრთნელი: ალუდა სილაგაძე), რომელმაც მიუხედავად მინიმალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა დიდ წარმატებებს მიაღწია.

ზვიად ბურჯალიანი გახდა საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის თავისუფალ ჭიდაობაშია, მოიგო ორი საერთაშორისო ტურნირი, იასპარეზა თურქეთის ქ. იზმირში გამართულ ჭაბუკთა ევროპის პირველობაში.

ასევე მრავლად არიან რესპუბლიკური და რეგიონალური შეჯიბრებების გამარჯვებულები და პრიზიორები. კარგი პერსპექტივებია კალათბურთში, ჭადრაკში და სპორტის სხვა სახეობებში.

რაიონში სპორტული ცხოვრების წინსვლაში გვ. 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი: ‚მდგომარეობა არცთუ ისე იდეალურია, მაგრამ არც ისე ცუდი'

(დასასრული)

დიდი წვლილი მიუძღვის წარსულში ცნობილ სპორტსმენს, დეპუტატ **ვალერი გიორგობიანს.**

გულწრფელი მადლობა გოჩა ძასოხოვს, რომელმაც რაიონს გამოუყო ძვირადღირებული საჭიდაო ხალიჩა ლეჩხუმის პატრიოტი ადამიანების აქტიური ძალისხმევით.

ყველა საჭირბოროტო პრობლემის მოგვარებაში დიდი იმედი გვაქვს პარლამენტის თავმჯდომარის ქალბატონი ნინო ბურჯანაძის მხარდაჭერის.

თვალში საცემია ახალი ხელისუფლების პოზიტიური ნაბიჯები ქვეყანაში სპორტის განვითარებისათვის.

დადებითი ძვრებია რაიონშიც.

გასულ წელს სარემონტო აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა ქ. ცაგერის სპორტულ დარბაზს, შეკეთდა საჭიდაო დარბაზი სოფელ ლაჯანაში, რაშიც დიდია რაიონის ხელმძღვანელის **თამაზ ქარსელაძის** დამსახურება.

იმედია მომავალშიც ასეთი განწყობით ვიმუშავებთ.

რა არის თქვენთვის, როგორც რაიონის სპორტის სამსახურის ხელმძღვანელისათვის პრიორიტეტი?

ჩემს მომავალ საქმიანობაში პრიორიტეტულად ვთვლი კონკრეტული საქმეების კეთებას.

__კერძოდ მიმაჩნია, რომ დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად თითქმის რაიონის ყველა სოფელში მოეწყოს მარტივი ტიპის მოედანი, რაც მიღწეული იქნება ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან მჭიდრო კონტაქტით (ვგულისხმობ სოფლის საკრებულოებს).

__არ დავუშვებ რაიონში სპორტული ობიექტების არადანიშნულებისამებრ გამოყენებას__ვგულისხმობ ქალაქ ცაგერის სპორტულ დარბაზს.

__ბოლომდე ვიბრძოლებ ლაჯანის საფეხბურთო მინდორის მოპარული მავთულღობის დაბრუნებისა და მისი სრულყოფილად აღდგენისათვის.

__მ/წელს პრიორიტეტად ვთვლი გადაღმა ზონის სოფლებში მასობრივი__ სპორტული მუშაობის გააქტიურებას, რაზედაც კონტროლს უშუალოდ განვახორციელებ.

__განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ რაიონის სპორტული კოლექტივების, სპორტსმენების რეგიონალურ და ქვეყნის პირველობებში წარმატებულ გამოსვლას.

თქვენ და ბიუჯეტი?

რაიონის სპორტის სამსახურის წლევანდელი ბიუჯეტი ნამდვილად არ არის იდეალური, თუმცა რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. მიმაჩნია, რომ ჩვენ ენთუზიასტი ხალხი ვართ და მიმდინარე სპორტული სეზონი უშედეგოდ არ ჩაივლის.

იმედი მაქვს რაიონის ადგილობრივ ბიუჯეტში რეზერვების გამოჩენის შემთხვევაში დახმარება სპორტული ობიექტების აღდგენისათვის გარკვეულად გაიზრდება.

თქვენ და ზემდგომი ინსტანციები?

საქართველოს კანონი სპორტის შესახებ ითვალისწინებს, რომ სპორტს ადგილებზე მართავენ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები.

რაიონის სპორტკომიტეტი წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს. მეთოდური ხელმძღვანელობის ფუნქციას ასრულებს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი. სპორტის სახეობებს ქვეყანაში ხელმძღვანელობს შესაბამის სპორტული ფედერაციები.

რაიონის მკვიდრი პარლამენტარი მმართველი პარტიიდან **ვალერი გიორგობიანი** ქვეყანაში სპორტის განვითარების ერთერთი კურატორია, ხოლო სპორტის ზემდგომ სახელმწიფო სტრუქტურებში ხელმძღვანელები მისი მეგობრები არიან. აქედან გამომდინარე პრინციპში ზემდგომთან ურთიერთობაში პრობლემები არ არსებობს. მაგრამ მეორე მხრივ ეს ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა და ყოველგვარად ვეცდები თავი არ შევირცხვინო.

ბატონმა ვალერიმ და მისმა მეგობრებმა ერთიანი ნაციონალური პარტიიდან ყველაფერი გააკეთეს, რომ სტრუქტურული რეორგანიზაციის პირობებში სპორტის საქალაქო და რაიონულ სამსხურებს შეენარჩუნებინათ დამოუკიდებლობა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

რა სიახლეებს უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში?

ქვეყნის პრეზიდენტმა ფაქტიურად სპორტის სფერო პრიორიტეტულ დარგად გამოაცხადა. რაც დიდი იმედებს გვისახავს.

__ქვეყანაში სპორტული ობიექტების აღდგენის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში იგეგმება ცენტრალური ბიუჯეტიდან რაიონში მოზიდული იქნას გარკვეული ბაზების და ობიექტების აღსადგენად.

ეს მოხდება ეტაპობრივად მრავალწლიანი პროგრამით.

__იმედი გვაქვს შესაბამისი ფედერაციებიდან მივიღოთ საჭიდაო ლეიბები, რისთვისაც ვამზადებთ შესაბამის ბაზებს.

__რაიონში უახლოეს პერიოდში შეიქმნება სპორტული კლუბი „ხვამლი", რომელიც იურიდიული მექანიზმებით უზრუნველყოფს პერსპექტიული სპორტსმენების ქვეყნის სხვა მოწინავე კლუბებში ჩარიცხვას, რაც ხელსაყრელ პირობებს შექმნის სპორტისათვის დამატებითი სახსრების მოზიდვისათვის.

__ძირითადი აქცენტი გაკეთდება რაიონში სპორტის მასობრიობის მიღწევისათვის.

მოეწყობა სპორტული ლაშქრობები ლეჩხუმის ისტორიულ ადგილებში, ჩატარდება რაიონული შეჯიბრება ცხენოსნობაში (დოღი და ყაბახი), ვფიქრობთ ალპინიადის ორგანიზებას ხვამლზე, მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობით და სხვა...

რა პოტენცია აქვს რაიონს წარმატებების მისაღწევად?

პოტენცია დიდია, ამის საფუძველს გვაძლევს ჩვენი ახალგაზრდობის ნიჭიერება და განუსაზღვრელი შესაძლებლობები.

უნდა ვაღიაროთ-ადგილზე ჯერ-ჯერობით არ არის საშუალებები დიდ სპორტში გამარჯვებებისთვის სპორტსმენთა მომზადებისათვის,

თუმცა კვლავაც გავაგრძელებთ ჩვენი პერსპექტიული მოზარდი სპორტსმენების ქვეყნის მოწინავე სპორტულ სკოლებში და კლუბებში წარგზავნას, რაც მაღალი სპორტული შედეგების მიღწევის საიმედო გარანტიაა, რამეთუ ისინი ქვეყნის პირველობებში ჩვენი რაიონის სახელით იასპარეზებენ.

კადრები... ყველგან პროფესიონალები გყავთ!?

კადრების პრობლემა რა თქმა უნდა აქილევსის ქუსლად რჩება. პროფესიონალები თითზე ჩამოსათვლელი არიან.

მაგრამ დღეისათვის საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სპორტულ განათლებას 15-მდე ახალგაზრდა ეუფლება. თუ მათ შეუქმნით რაიონში და ეს პრობლემაც გარკვეულად მოგვარდება.

იქნებ რამე დაგრჩათ სათქმელი?

დიდი იმედი მაქვს ქვეყნის, მხარის და რაიონის ხელმძღვანელთა კეთილი ნების.

გი დე მოპასანს დავესესხები: „მდგომარეობა არც ისე იდეალურია, მაგრამ არც ისე ცუდი, იმედი, რომ არ იყოს!"

იმედი ნამდვილად არის!

მარინა სვანიძე

მუზეში არ დუმან

მთვარეს შევჩქეროდი სევდიან ღამეში თვალებდანამული ცრემლით.
იქ, შორს, შორს შენ გიყურებდი სევდით დაქანცული, სევდით.
მე მაგონდებოდა ზაფხულის დღეები, სიცხით გათანგული ხელი,
მე შენი ყურებით არასდროს დავიღლები, არასოდეს დავიღლები ცქერით.
მე მაშინ გიძღვნიდი ცხოვრებას სიყვარულით, ბავშვური ოცნებებით ჩემით,
არასდროს მხყინდებოდი, ყოველთვის გიყურებდი, თვალებდანამული ცრემლით,
დასრულდა ხანა ბედნიერების, დიდი სიყვარულის სევდის,
ტკეილით განადგურდა ოცნების კოშკები, მთვარეს ვასველებდი ცრემლით...

...

მაგრამ ქვეყანაზე შემთხვევით გითხარი არასდროს არაფერი ხდება.
დიდი სიყვარული პატარა მიზეზებით, ვიცი არასდროს კვდება.

ისევ შენზე მონატრება მომეძალა ამ ღამეს,
შენზე დარდი, შენზე ფიქრი, ისევ გამათამამებს,
შემოდგომის თბილ საღამოს, მივენდობით ალალ-ბედს,
შენზე ფიქრი დღეს და ღამეს მე კვლავ გამითანაბრებს,
ისევ შენი ანგელოზი მოვა ფანჯრის მინაზე,
მერე ზღვაზე ჩავეფლობით, მზისგან გამთბარ სილაზე,
... და ნვიმაში სიარული, მოფერება მინდა მე
და დილის მზე გამოჩნდება ჩემს ფანჯრებთან მძინარე!

გნატრობდი მე ისევ, ღამეში ჩუმად,
ჩემთან მზე იყო იმ ღამეს სტუმრად,
გაყინულ სულში დაიდო ბინა,
მე მხოლოდ შენი ალერსი მინდა.
ნეტა, არ მოხვალ ამ თბილ საღამოს?
სანთლის მკრთალ შუქზე გეტყვი „მიყვარხარ".
თვალდახუჭული ვინატრებ ღამეს,
ცრვი სული კი მეტყვის „ვინა ხარ".

თამილა ხადური,
წმინდა ილია მართლის სახელობის
გიმნაზიის X კლასის მოსწავლე

დუდუშა გორგასლიძე



დუდუშა გორგასლიძე... როგორ ამშვენებდა და აძლიერებდა ეს სახელი და გვარი ცაგერის საშუალო სკოლას, ჩვენს საზოგადოებას, მის მეგობრებსა და შეგირდებს...

მაინც რა საოცრად გადახვედით ამ ქვეყნიდან, რა მოულოდნელი იყო ყველასთვის თქვენი გარდაცვალება, შემზარავი და ტკივილისმომგვრელი. განა ადვილია თქვენნაირი პიროვნების, ინტელექტით, ნიჭით, იუმორით დაჯილდოებული მანდილოსნის, თხემით ტერფამდე პედაგოგის, მაიას განუმეორებელი დედის დაკარგვა. განა ადვილია თქვენზე წარსულში ლაპარაკი?

თქვენ არასოდეს დაგივიწყებთ ლეჩხუმის საზოგადოება, პედაგოგები და ბავშვები, თქვენი მოსწავლეები, რომლებიც ალალი, წმინდა ცრემლითა და ყვავილებით გაცილებდნენ უკანასკნელ გზაზე.

თქვენ უსასრულობაში გაგრძელდებით!

შევთხოვთ უფალს იქ გაგამწესოთ, სადაც მართალნი განისვენებენ.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის"
რედაქცია

რაიონულ შეჯიბრებაზე

სპორტი

რაიონული სპორტკომიტეტის ინიციატივით წლიური კალენდარული პროგრამის მიხედვით ტარდება რაიონული შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ნარდში _ 22_მონაწილეს შორის I (პირველი) ადგილი დაიკავა **მამუკა ფოჩხიძემ** (ქ. ცაგერი), მეორე იყო **გია საღინაძე** (ქ. ცაგერი), მესამე ადგილზე გამოვიდა **კახა ჩაკვეტაძე** (ელ. კომპანია „ლეჩხუმი).

ჭადრაკში _12_მონაწილეს შორის საპრიზო ადგილები შემდეგნაირად განაწილდა:

I _ ადგილი_**ახვლედიანი მერაბი** (განათლება)
II _ ადგილი_**კვირიკაშვილი სპარტაკი** (ს. ჩხუტელი)
III _ ადგილი_**ქარსელაძე სოსო** (ქ. ცაგერი)

შაშში _ 14_მონაწილეს შორის ჩემპიონი გახდა **გოჩა მუშკუდიანი** (ს. ლასურიაში), II (მეორე) ადგილი მოიპოვა **ბერდია ახვლედიანმა** (ცაგერის საშუალო სკოლა), III (მესამე) საპრიზო ადგილი წილად ხვდა **ჯემალ საღინაძეს** (მრავალდარგოვანი კოლეჯი).

გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გამოსული მოთამაშეები სახეობების მიხედვით დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებითა და შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

სპორტული შეჯიბრებების ჩატარებაში დახმარება გაგვიწია რაიონულმა გამგეობამ, ასევე გვერდში გვიდგას ერთიანი ნაციონალური პარტიის რაიონული ორგანიზაცია.

რაიონული სპორტული ღონისძებები გრძელდება.

გ. კვირიკაშვილი
რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე

გილოცავთ!

ია ლაღიძეს, დათო კოპალიანს!

გილოცავთ შეუღლებას. გისურვებთ ბედნიერებას და შვილთა სიმრავლეს.

მეგობრები



გრიგოლ სპირიდონის ძე ლეთოდიანის ხსოვნას

დიდი სამამულო ომის ვეტერანთა რიგებს გამოაკლდა ჭეშმარიტი პატრიოტი, ღირსეული ადამიანი გრიგოლ სპირიდონის ძე ლეთოდიანი. 1942 წელს წავიდა ფრონტზე და ბრძოლის სახელოვანი გზა განვლო, ვაჟკაცურად იბრძოდა სტალინგრადის მისადგომებთან, კურსკისა და ორიოლის ფრონტებზე. ომში გამორჩეული სიმამაცისა და თავდადებისათვის იგი დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით, 7 საბრძოლო მედლით. მიღებული ჰქონდა მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის მადლობა შვიდჯერ.

ფრონტზე მიღებული მძიმე ჭრილობების გამო ფრონტიდან დაბრუნდა 1944 წელს.

მშობლიურ სოფელში დაბრუნებისთანავე სათავეში ჩაუდგა კოლმეურნეობას, მუშაობდა ფერმის გამგედ. ძალღონეს არ ზოგავდა თავისი წვლილი შეეტანა ფრონტზე მეომარი ვაჟკაცების სურსათით უზრუნველყოფისათვის.

98 წელი იცოცხლა გრიგოლ ლეთოდიანმა. კაცმა რომელმაც თავი გამოიჩინა მშვიდობიან შრომაში და მტერთან ბრძოლაში. ამაყობდა თავისი განვლილი გზით. 5 შვილით, 13 შვილიშვილით, 18 შვილთაშვილით და მათი შვილთაშვილიშვილით. ყველანი კარგად ჰყავდა, გარდა იმ ორი შვილიშვილისა, რომლებიც აფხაზეთის ომში ვაჟკაცურად დაეცნენ.

გრიგოლ ლეთოდიანმა დიდი სიყვარული დაიმსახურა რაიონის ომის ვეტერანთა შორის, მას პატივს სცემდა მთელი საზოგადოება.

ცაგერის ომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს
პრეზიდიუმი__შ. ცვარიანი, მ. შურცხვალაძე,
გ. თუთისანი, კ. სილაგაძე

ამ სურათზე აღბეჭდილ პიროვნებას ლევან ვასილის ძე არდანიას, სოხუმის დაცემის შემდეგ ეძებენ ოჯახის წევრები და ახლობლები. მას შემდეგ, რაც მას საკუთარი სახლ-კარი გადაუწვეს, სავარაუდოა, რომ სამეგრელოს გზით გამოვიდა აფხაზეთიდან. ნაცნობია ისიც, რომ შეიძლება ცხოვრობდეს რუსეთში.

ამ სურათს რესპუბლიკის სხვადასხვა გაზეთებში აქვეყნებენ, მაგრამ დღემდე ამაოდ...

იქნებ ლეჩხუმში აღმოჩნდესო—ვინმე მისი მნახველი...

ხსოვნა

ნორა სპირიდონის ასული ჯოპალიანი, ჯუმბერ მისაილის ძე საღინაძე

ერთი ათეული წელი გავიდა თქვენი დაშორებიდან. ზამთრის სუსხიან დღეებში წახვედით ჩვენგან და უზომო სევდასთან ერთად სულის საშინელი სიცარიელე დაგვიტოვეთ.

საოცარი იყო თქვენი ხვედრი, თქვენი განვლილი ცხოვრების გახსენებისას უნებურად ვრწმუნდებით ბედის უკუღმართობაში.

ორთავენი ობლები იყავით, გაჭირვებაში აღზრდილნი, თქვენი ცხოვრების მეგზური პატიოსნების, სიკეთის სამსახური იყო, თქვენ ყველასათვის იყავით, ყველას გულის გათბობა გინდოდათ, ამიტომ გვაკლახართ ასე, ამიტომ მივსტირით თქვენგან დაშორებული წლებს.

ამქვეყნიური ცხოვრება სიკეთესა და ბოროტების ჭიდილია. თქვენს მიერ გავლებულ ხნულში, კეთილი თესლი დიდებულად აღმოცენდება. ჩვენ ვიცით ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და საითკენ უნდა წავიდეთ...ძვირფასო დედავ და მამავ, თქვენი და ლამაზი სული, მუდამ იტრიალებს ჩვენს გვერდით.

შვილები და შვილიშვილები.

კახა ჭოჭიკე



თებერვალი რამდენიმე უახლოესი ადამიანის მოგონებას აღძრავს ჩემში, ადამიანების, რომლებმაც, სამწუხაროდ, ეს წუთისოფელი ნაადრევად დატოვეს, მათ შორის—კახა გოგიძე, რომელისთვისაც ეს თვე დაბადების და გარდაცვალების თვედაც ქცეულა, მისი დედისთვის, იზოს მასწავლებლისთვის კი ერთ დროს დიდი სიხარული—პირველი ვაჟის დაბადება 33 წლის შემდეგ მოურჩენელი ტკივილით—შვილის გარდაცვალებით შეიცვალა, და დაუმატა ამ ცოდვებით დამძიმებულ ქვეყანას კიდევ ერთი შოსანი დედა...

„მიდიოდა პირდაპირი გზით, არავის და არაფერს აჩჩევდა, ან არ უნდოდა, თავის თავთან ერჩივნა ყოფნა.

სად მიდიოდა? სადაც ყოველდღე? არა.

„მასთან გუშინ იყო, ვინც წლების წინ დაიტირა და ღმერთს შეავედრა. გული კი საგულედან ამოიღო მას დაუტოვა. მოსწრებას—პირველს. გაეს საუბრა, მოეფერა, გული ოჯერა“... წერს მასზე ქალბატონი თინა კოპალიანი.

კახა ჩემთვის—ჩემი მეგობარი იყო, ჩემი ძმის მეგობარი, მეგობრის მეუღლე...

ირგვლივმყოფთათვის მისი ადამიანობა იყო ცნობილი... კეთილი, საიმედო, გამტანი... ბევრჯერ მეგობრულად შენიშნაც კი მოუცია, და როგორც უფროსს, ურჩევია, რომ არ შეიძლება ვინმეს დაცინვა, გაკილვა, დამცირება... გასაცოდავებულს მეტი დაფასება სჭირდებაო. მას შემდეგ ეს გონებაში ღრმად ჩამებეჭდა, და ყოველთვის მახსოვს, კახასგან ნასწავლები.

მიუხედავად ყველაფრისა, საკუთარ ავადმყოფობას ვერ სძლია, ეურჩებოდა და ალბათ იმიტომ, და თებერვლის ერთ დღეს უფალმა მიიბარა მისი ლამაზი სული და დაუტოვა ტკივილი და ფოტოებზე აღბეჭდილი ღიმილი დედას, ბებიას, ძმას, მთელს მის სამეგობროს... მის პატარა ქალიშვილს—კელის, რომელსაც მამიკოს თვალები და სევდიანი გამოხედვა აქვს...

დასანანია რომ ადრეულ ასაკში დაკარგული მამის საუკეთესო თვისებების გაცნობა ვერ მოასწრო კელიმ კახას სიცოცხლის გამგრძელებელმა...

თამარ დავითულიანი

საქართველოს პარლამენტის ცაგერის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ავთანდილ სილაგაძე თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს

დუდუშა გორგასლიძის

გარდაცვალების გამო

ცაგერის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ავთანდილ სილაგაძე სამძიმარს უცხადებს ზაურ ახვლედიანს დედის

გარდაცვალების გამო

პიერ ფუტკარაძე, ვალერი ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ზაურ ახვლედიანის დედის

გარდაცვალების გამო.

გაზეთი „ახალი ლეჩხუმის“ სარედაქციო კოლექტივი თანაუგრძნობს მაია ბაბლუანს დედის

დუდუშა კონსტანტინეს ასული გორგასლიძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებს მეგი ჯაკობიას შეუღლის, გვანცას და სოსო ქლიბაძეებს მამის

ტარიელ ოთარის ძე ქლიბაძის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი **თამარ დავითულიანი**	პასუხისმგებელი მდივანი **მზევინარ ქნელაძე**	სარედაქციო კოლეგია: **ეკა ყვირილიანი, მარინა სვანიძე, ეკა ბენდელიანი**	მისამართი: **ცაგერი, რუსთაველის №47 ტელ: 22-86**	გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის სს „მანდარიას სტამბაში“ ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33 ტელ: 70780, 73490